

## ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია ანტივირუსული წამლები და პანდემიური (H1N1) 2009

22 დეკემბერი 2009 წელი

**ანტივირუსული წამლები: განმარტებები და მკურნალობა**

**რა არის ანტივირუსული პრეპარატი?**

ანტივირუსული პრეპარატი არის საშუალება, რომელიც მოქმედებს უშუალოდ ვირუსზე და ხელს უშლის მის გამრავლებას.

**გამოიყენება თუ არა ანტივირუსული საშუალებები პანდემიური (H1N1) 2009 ინფექციის სამკურნალოდ?**

დღეისათვის მოწოდებულია ორი ამგვარი პრეპარატი, ოსელტამივირი და ზანამივირი, ორივე მათგანი იწვევს ვირუსის პროტეინის – ნეირამინიდაზას მოქმედების ბლოკირებას. მათ მოქმედებაზე დაკვირვებამ სეზონური გრიპის დროს, აჩვენა რომ პრეპარატები ამცირებენ სიმპტომებს და დაავადების ხანგრძლივობას, ასევე სიმძიმეს და სიკვდილიანობას. იქიდან გამომდინარე, რომ ეს პრეპარატები ეფექტური იყო სეზონური გრიპის მკურნალობისას, მოსალოდნელია რომ ასევე ეფექტური იქნება პანდემიური (H1N1) 2009 ინფექციის შემთხვევაშიც.

**რამდენი სახის ანტივირუსული პრეპარატი გამოიყენება პანდემიური (H1N1) 2009-ის სამკურნალოდ?**

არსებობს პანდემიური გრიპის სამკურნალო ორი დამტკიცებული ანტივირუსული პრეპარატი. ესენია ნეირამინიდაზას ინჰიბიტორები ოსელტამივირი და ზანამივირი, რომლებიც ცნობილია როგორც ტამიფლუ და რელენზა. სხვა ჯგუფის ანტივირუსული პრეპარატები, რომლებიც წარმოადგენენ M2 ინჰიბიტორებს (ამანტადინი და რემანტადინი) ძირითადად გამოიყენება სეზონური გრიპის სამკურნალოდ, ხოლო პანდემიური გრიპის ვირუსი მათ მიმართ არის რეზისტენტული.

**როგორია ჯანმო-ს რეკომენდაცია ანტივირუსული პრეპარატების გამოყენებაზე?**

ჯანმო-ს რეკომენდაციით პაციენტებში, რომლებსაც დაავადება თავიდანვე მწვავედ განუვითარდათ და მდგომარეობა გაუარესდა, ოსელტამივირით მკურნალობა უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ, ლაბორატორიის შედეგების მიღებამდე.

პაციენტების, რომლებიც იმყოფებიან სერიოზული დაავადების განვითარების რისკის ქვეშ, მ.შ. ისინი ვისაც აქვთ მანამდე არსებული გართულებები, ჯანმო-ს რეკომენდაციით მკურნალობა უნდა მოხდეს ოსელტამივირით ან ზანამივირით, სიმპტომების გამოვლენიდან რაც შეიძლება სწრაფად, ლაბორატორიული შედეგების მიღებამდე.

### **ვინ იგულისხმება რისკ - ჯგუფებში?**

- ორსულები (განსაკუთრებით ორსულობის მოგვიანებით სტადიაში);
- ჩვილები და ბავშვები;
- პაციენტები ჯანმრთელობის ქრონიკული მდგომარეობებით, მაგ: გულსისხლძარღვთა, რესპირატორული ან ღვიძლის დაავადებები, ღიაბეტი;
- იმუნოსუპრესიული პაციენტები, დაკავშირებული ტრანსპლანტაციის შემდგომ მკურნალობასთან, სიმსივნესთან ან სხვა დაავადებებთან;

ხანდაზმულები (>65) ხასიათდება ნაკლები მიმღებლობით პანდემიურ (H1N1) 2009 ვირუსული ინფექციის მიმართ, თუმცა მაინც მიეკუთვნებიან რისკის ჯგუფს, ინფიცირების შემთხვევაში მძიმე ან გართულებული მიმდინარეობის გამო.

### **ყველასთვის დასაშვებია თუ არა ანტივირუსული პრეპარატების მიღება?**

ანტივირუსული წამლების მიღება დასაშვებია მხოლოდ კვალიფიციური სამედიცინო წარმომადგენლის მიერ რეცეპტის გაცემის საფუძველზე, რადგან მხოლოდ მათ შეუძლიათ მდგომარეობის სწორი შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

ის პაციენტები რომლებსაც აქვთ მსუბუქი სიმპტომები და არ იმყოფებიან მაღალი რისკის ქვეშ არ საჭიროებენ ანტივირუსულ მკურნალობას. პაციენტთა უმეტესობა პანდემიური გრიპისგან გამოჯანმრთელდა სამედიცინო ჩარევის გარეშე.

### **საჭიროა თუ არა ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების მიღება, ანტივირუსული მკურნალობის დაწყებამდე?**

იმ შემთხვევაში თუ კლინიკური მანიფესტაცია სახეზეა, ანტივირუსული პრეპარატებით მკურნალობა უნდა დაიწყოს რაც შეიძლება სწრაფად, დაგვიანების შემთხვევაში მკურნალობა ნაკლებად ეფექტურია.

### **როგორია ანტივირუსული პრეპარატებით მკურნალობის სტანდარტული რეჟიმი?**

ოსელტამივირი (ტამიფლუ) – მოზრდილებში ინიშნება 75 მგ (1 კაფსულა) დღეში 2 ჯერ 5 დღის განმავლობაში. დაავადების გამწვავების ან გახანგრძლივების შემთხვევაში დოზა შეიძლება გაიზარდოს ან გახანგრძლივდეს მკურნალობის დრო.

ზანამივირი (რელენზა) – მიიღება ფხვნილის სახით ინჰალაციურად. მოზრდილებსა და ბავშვებში 5 წლის ასაკიდან სამკურნალო დოზაა დღეში ორჯერადი ინჰალაცია 5 დღის განმავლობაში (2X5 მგ)

### **იწვევენ თუ არა ანტივირუსული პრეპარატები რეზისტენტობის განვითარებას და რატომ?**

ოსელტამივირის მიმართ რეზისტენტული შტამების განვითარება დაფიქსირდა იმ პაციენტთა თითქმის ნახევარში, რომლებიც პრეპარატს იყენებდნენ პროფილაქტიკის მიზნით,

რეზისტენტობის განვითარების სიჩქარე დამოკიდებულია რეზისტენტული ვირუსის განვითარების პროცენტულ მაჩვენებელზე და ახალი ვირუსის გავრცელების უნარზე, რომელიც დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე. მ.შ. ანტივირუსული პრეპარატის გამოყენების ხასიათზე და ახალი მუტირებული ვირუსის სწრაფი გავრცელების შესაძლებლობაზე.

ამიტომ აღნიშნული პრეპარატებით პროფილაქტიკა მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, როცა არსებობს ამის განსაკუთრებული მიზეზი.

### **ანტივირუსული პრეპარატების მიმართ რეზისტენტობის რამდენი შემთხვევაა ანგარიშგებულ ჯანმო-ში?**

2009 წლის 8 დეკემბრის მონაცემებით ჯანმო იუწყება მსოფლიო მასშტაბით რეზისტენტობის 109 შემთხვევის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევების უმეტესობა დაკავშირებულია ოსელტამივირით მკურნალობასთან, რეზისტენტობა გამოვლინდა პაციენტებში, რომლებიც იღებდნენ ოსელტამივირს პანდემიური გრიპის პროფილაქტიკის მიზნით.

ექსპერტების მიერ 2 კლასტერის კვლევის მიხედვით ოსელტამივირის რეზისტენტობაზე, რომელიც ჩატარდა გაერთიანებულ სამეფოში, მძიმე იმუნოსუპრესირებული ჰოსპიტალიზირებული პაციენტები მიეკუთვნებიან ყველაზე მოწველად ჯგუფს. ეს პაციენტები გამოირჩევიან ინფექციაზე მაღალი მგრძობელობით, რთულია მათი მკურნალობა და მიდრეკილები არიან რეზისტენტობისკენ. ექსპერტები რეკომენდაციას უწევენ მოდიფიცირებულ მკურნალობას ანტივირუსული პრეპარატებით, ასევე სამედიცინო პერსონალის, ოჯახის წევრების და სხვა კონტაქტირებული პირების ვაქცინაციას.

## **არის თუ არა მოსალოდნელი რეზისტენტული შტამით გამოწვეული შემთხვევების ზრდა?**

რამდენადაც უახლოეს თვეებში მოსალოდნელია ოსელტამივირის მოხმარების გაზრდა, შესაბამისად მოსალოდნელია რეზისტენტობის მატებაც.

ჯანმო რეზისტენტული ვირუსის შესახებ ინფორმაციას იღებს ლაბორატორიული ქსელიდან და ანგარიშგებას ახორციელებს მათი დადასტურებისა და კლინიკური და ეპიდემიოლოგიური მონაცემების ხელმისაწვდომობისას.

ჯანმო ახორციელებს ანტივირუსული პრეპარატების მიმართ რეზისტენტობის განვითარებაზე მონიტორინგს.

### **ანტივირუსული პრეპარატები, როგორც პროფილაქტიკური საშუალება**

#### **იქონიონ თუ არა ანტივირუსული პრეპარატების პერსონალური მარაგი?**

ჯანმო არ უწევს რეკომენდაციას პერსონალური ანტივირუსული პრეპარატების (ოსელტამივირი, ზანამივირი) მარაგის შექმნას, თუ ასეთი რჩევა არ არის ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებლებისაგან ან სახელმწიფო ორგანოებისაგან. სახელმწიფო ორგანოებმა შესაძლოა დამატებით გასცენ ანტივირუსული პრეპარატების მარაგი იმ პირთათვის, ვინც იმყოფებიან განსაკუთრებული რისკის ქვეშ ან არ აქვთ შესაძლებლობა სწრაფად მიიღონ ეს მედიკამენტები.

#### **სად არის შესაძლებელი ანტივირუსული პრეპარატების მიღება/შეძენა?**

ისეთი ანტივირუსული პრეპარატების მიღება/შეძენა, როგორც არის ოსელტამივირი და ზანამივირი, დასაშვებია მხოლოდ რეცეპტით, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში, პანდემიის პირობებში, დროის დაზოგვის მიზნით გამარტივდა მოსახლეობისთვის პრეპარატის მიწოდება/გაცემა.

ანტივირუსული პრეპარატების გაცემა უნდა მოხდეს, მხოლოდ აღიარებული სამედიცინო მიმწოდებლების მიერ (მაგ.: აფთიაქები), რეცეპტის გაცემის ეროვნული პროცედურების შესაბამისად.

**ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია 14 მაისი, 2009 წელი**

**გაფრთხილება ანტივირუსული პრეპარატების რეცეპტის გარეშე შეძენასთან დაკავშირებით (მ.შ. ინტერნეტით შესყიდვა)**

პანდემიური გრიპისათვის მზადყოფნის შესაბამისად, ჯანმოს რეკომენდაციით, არ არის სასურველი ანტივირუსული პრეპარატების

შექენა მკურნალობის ან პროფილაქტიკის მიზნით ექიმის დანიშნულების გარეშე.

დღეისთვის მსოფლიოში მოცირკულირე პანდემიური H1N1 ვირუსი მგრძობიარეა არსებული ანტივირუსული საშუალებების მიმართ. აღნიშნული პრეპარატების არასათანადო გამოყენება მნიშვნელოვნად ზრდის ვირუსის რეზისტენტული შტამების განვითარების რისკს.

ანტივირუსული პრეპარატების გაყიდვა ან შექენა დაუშვებელია სამედიცინო დაწესებულებების გარეთ.

ყურადღება უნდა მიექცეს პრეპარატების შექენას ინტერნეტის საშუალებით. დღეისთვის არსებობს ლეგიტიმური ინტერნეტ აფთიაქები, რომლებიც მოქმედებენ კანონის ფარგლებში. თუმცადა პრეპარატების ინტერნეტით შექენა, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც ინტერნეტ გაყიდვები არ არის მკაცრად რეგულირებადი, დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან. არალიცენზირებული და არალეგალური ინტერნეტ აფთიაქები პრეპარატებზე შეკვეთებსა და ანგარიშსწორებას აწარმოებენ ყოველგვარი დაზღვევის გარეშე. აქედან გამომდინარე, მათი კლიენტებისთვის არ არსებობს აღნიშნული პრეპარატების უსაფრთხოების (ხარისხისა და ეფექტურობის) არანაირი გარანტია, რაც საფრთხეს უქმნის მომხმარებლის ჯანმრთელობას. არასანქცირებული ან ყალბი მედიკამენტების მიღება ზრდის სიკვდილიანობის, მკურნალობის არაეფექტურობის და გვერდითი მოვლენების განვითარების რისკს, რამდენადაც ამგვარი პრეპარატები არ შეიცავენ აქტიურ ნივთიერებებს ან შეიცავენ არასათანადო, არასწორი რაოდენობით და ზოგჯერ მათი შემცველობა არ არის მითითებული წამლის ეტიკეტის ჩამონათვალში.